

ისევ მესხის გამოხედვა

შენ სიყრმიდან იცნობ ომებს, გიყვარს ხმალთა სტვენა.
ყვავ-ყორნების არ გაშინებს შავზე შავი ფრენა.
ომთა გრგვინვა და დროშები თამარ მეფის ორბთა
შენ ბრწყინვალედ გამოსახე, დიდებულო შოთა!
ახსოვს იმ შენს ოქროსფერ წლებს, გორს, ასპინძას. მცხეთას
თუ რამდენჯერ სიკვდილისთვის თვალში შეგიხედავს...
სიკვდილმა ვერ ისიკვდილა, უჭკნობ დაფნის რტოთა
უკვდავების მტარებელო, დიდებულო შოთა!
მხოლოდ გმირთა თავდადების გზა იყო და არის
ღირსი დიდი სიყვარულის მშობლიური მხარის.
და იმ "ვეფხისტყაოსანით" ბევრი, არა ცოტა,
გამარჯვების დღე ყოფილა, დიდებულო შოთა!
თვით ქაჯეთის არ არსებობს ციხეები შავი,
ძმადშეფიცულ მეგობრების რომ არ ლეწდეს მკლავი.
მათ საზღვარი გადალახეს ათასნაირ შფოთთა,
და გვინათებს შენი სახე, მზეთა მზეო, შოთა!
თინათინის და ნესტანის სიყვარულის ღირსი
მხოლოდ გმირთა უკვდავება არის მარადისი!
შენს გარშემო ყველა დროის მღელვარება რბოდა,
უსაყვარლეს სამშობლოს მშვენებაო, შოთა!
მარგალიტთა დიდთა მტევნად და ოქროდა ჰქროდა
სიტყვათ შენთა შადრევანი, ცემა ჩოგანთ შნოთა.
შენი გული უსასრულო სიყვარულით თრთოდა,
შოთა, ერის სიქადულო, ღვთაებრივო შოთა!

1940